



მენარმე ქალთა ფონდი
Fund of women Entrepreneurs

ქალი და ბიზნესი

Woman and Business

№5



გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების
განვითარების სამსახური (გერმანია)



Publication is financially supported by
EED (Germany)

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ს მოსაზრებებს


The views expressed in the bulletin does not
necessarily represent the views of EED

ქალი და ბიზნესი

№5

Woman and Business

2010



ს ა მ რ ე ვ ი

Content

მენარჩე ქალთა ფონდი ქალთა
მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

⇐ 6

7 ⇒

FUND OF WOMEN ENTREPRENEURS
TO FIGHT VIOLENCE AGAINST WOMEN

ტელეგადაცემა
პირდაპირი ეთერით

⇐ 8

9 ⇒

TELEVISION SHOW
BROADCASTED ON LIVE

ახალი სამუშაო ადგილები
კონფლიქტის ზონაში

⇐ 10

12 ⇒

NEW WORK PLACES
IN A CONFLICT ZONE

მრგვალი მაგიდა

⇐ 14

15 ⇒

ROUND TABLE

„განვლილი გზა“

⇐ 16

17 ⇒

"WAYS OF THE PAST"

წარმატებული ქალები

⇐ 18

18 ⇒

SUCCESSFUL WOMEN

პროფესიული განვითარების
მიზნით ამერიკაში

⇐ 19

19 ⇒

WITH THE PURPOSE OF PROFESSIONAL
DEVELOPMENT IN AMERICA

აფხაზეთობა - 2010

⇐ 20

21 ⇒

ABKHAZETOB – 2010

ისრაელში - გამოცდილებისათვის

⇐ 22

23 ⇒

FOR EXPERIENCE
GATHERING IN ISRAEL

პროფესიული
მომზადების კურსები

⇐ 24

25 ⇒

VOCATIONAL COURSES

იურისტის კუთხე

⇐ 26

26 ⇒

LAWYER'S CORNER

ძვირფასო მკითხველო!

ყირიკი ერითი 2010 წელი დასრულდა. მომდევნო წინმსწერული
შედეგებს უნდა დავუბრუნდეთ. ჩვენი ყველაზე დიდი მიზანმიმართული
მხარდაჭერით დაწყებული გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში შეგვეწყობა
და დაწყებული, მომდევნო მიზანმიმართული დაწყებული, მათ
გაძლიერებს და დაეხმარება ჩვენი წინადადებას დაგვიხმარებოდა.
მოგვითხრობს მონიტორინგები გეგმის შესახებ, რომ წინმსწერული და დაწყებული
დაგვიხმარებოდა. მომდევნო ყველა შედეგის დასაწყისი დაგვიხმარებოდა
დაგვიხმარებოდა. ასევე წინმსწერული დაგვიხმარებოდა გეგმის შესახებ
დაგვიხმარებოდა წლის განმავლობაში დაგვიხმარებოდა დაგვიხმარებოდა.
გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში დაგვიხმარებოდა დაგვიხმარებოდა.
გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში დაგვიხმარებოდა დაგვიხმარებოდა.
გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში დაგვიხმარებოდა დაგვიხმარებოდა.

მეწინააღმდეგეთა დაგვიხმარებოდა

Dear Readers!

Another year 2010 has ended, which we may consider a successful year.

With the financial support of our donor organization EED, we were able to perform the works targeted at empowering women and support their active involvement into a small business, during a year.

Results of the regular monitoring proved that the working places opened in various towns of west Georgia were successful. We plan to continue working with you the next year too.

Successful were the vocational courses for the young women as well. The courses in accounting, English, computers, sewing, and knitting; organized in Kutaisi and Poti.

We wish you happy and peaceful New Year of 2011!

Fund of Women Entrepreneurs

მეზაზე ქალთა ფონდი ქალთა შიშაჟთ ქაღალდის წინააღმდეგ

ინფორმაცია 16-დღიან კამპანიაზე...

„16 დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ არის საერთაშორისო კამპანია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1991 წელს, რომლის დაამარსებლებმა სიმბოლურად შეარჩიეს თარიღები - 25 ნოემბერი „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“ და 10 დეკემბერი „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“.

კამპანიაში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს 190-ზე მეტი ქვეყანა და 2000-ზე მეტი ორგანიზაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათ გააჩნიათ საერთო მიზნები: გენდერული ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის ფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

კამპანიის მთავარი ღოზუნგია: ბოლო მოვუღოთ ქალთა მიმართ ძალადობას. თუმცა ყოველ წელს იგი ხასიათდება კონკრეტული თემებით. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, იგი ზემოთხსენებულ კამპანიას შეუერთდა 2001 წლიდან.

მენარმე ქალთა ფონდი ამ კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა.

მიმდინარე წელს აღინიშნება კამპანიის 20 წლის-თავი ...

ჩვენი ჩართულობა კამპანიაში...

... 25 ნოემბერს, ფონდის ბენეფიციარებმა, მენარმე ქალებმა და ახალგაზრდებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ მდუმარე აქციაში ქუთაისში, წყალტუბოში, ფოთში, ოზურგეთში, ხონსა და ზუგდიდში. თეთრ მაისურებში გამოწყობილი ქალთა მთავარი სლოგანი იყო - „ძალადობა ბოროტებაა!“ აქციის მსვლელობა გაშუქდა ადგილობრივი და ცენტრალური ტელეკომპანიების მიერ. ბევრი მათგანი კამპანიის ისტორიითაც დაინტერესდა.



... 29 ნოემბერს, 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში შეიქმნა ორი სამუშაო ადგილი ხურჩასა და ნაბაკევში (აფხაზეთის მოსაზღვრე დასახლება), რომელთა ავტორები არიან გუგული ანჯაფარიძე და ია კოზმავა.

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ არჩევანი შეაჩერეს მომსახურების სფეროს ისეთ მართულებაზე, როგორცაა სილამაზის სალონი.

წლის პირველ ნახევარში, მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლებმა სოფელ ხურჩაში შეისწავლეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და პრობლემები. შეხვედრამ თავისი შედეგი გამოიღო.

... 8 დეკემბერს, მენარმე ქალთა ფონდის ტელეგადაცემა გავიდა ტელეკომპანია „რიონის“ პირდაპირი ეთერით თემაზე „მცირე ბიზნესი - გზა ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ“. სტუდიაში მონაწილეები იყვნენ ფონდის თანამშრომლები, მენარმე ქალები, იურისტი.

დასაწყისში, მაყურებელი გაეცნო ფონდის საქმიანობას ფილმით „განვლილი გზა“, რის შემდეგაც სტუდიაში გაიმართა დისკუსია. საუბარი შეეხო ფონდის ჩართულობას 16-დღიან საერთაშორისო კამპანიაში და ძალადობის გამომწვევ ეკონომიკურ ფაქტორებს.

იურისტმა თამარ ფაჩულიამ მოკლედ მიმოიხილა კანონმდებლობა და პრაქტიკული რჩევები მისცა მცირე მენარმეებს საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის.

გადაცემის მსვლელობისას იყო სატელეფონო ზარები სტუდიაში, რესპონდენტები სურვილს გამოთქვამდნენ ეთანამშრომლათ მენარმე ქალთა ფონდთან.

10 დეკემბერს, მენარმე ქალთა ფონდის მიერ ჩატარებული მრგვალი მაგიდა მიეძღვნა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან საერთაშორისო კამპანიის დასრულებას. მონაწილეები გაეცნენ კამპანიის შესახებ ინფორმაციას და ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური სიძლიერე ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

შეხვედრაზე მონაწილეები იყვნენ მენარმე ქალები და პროფესიული კურსების მსმენელები.

გაჟღერდა არაერთი საინტერესო წინადადება. მათ შორის: მენარმე ქალთა ლიგის ჩამოყალიბება, პროფესიული კურსების ჩამოყალიბება ზესტაფონში, წყალტუბოში. მოქმედი მენარმეებისთვის ვორკშოპის ჩატარება საგადახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გასაცნობად.

FUND OF WOMEN ENTREPRENEURS TO FIGHT VIOLENCE AGAINST WOMEN

INFORMATION ON 16-DAYS CAMPAIGN...

"16 days of activism against violence against women" is an international campaign founded on 1991, the dates are symbolic 25th November, International Day against Violence against Women and 10th of December International Human Rights Day.

More than 190 countries and 2000 organizations join the campaign annually, united by the same aim: raising awareness on gender violence, one of the forms of human rights' violation. Main notion of the activism is to end violence against women. However, each year is characterized with particular themes. Regarding our country, Georgia joined the campaign in 2001.

Fund of Women Entrepreneurs is among the active participants of the campaign.

This year the 20th anniversary of the activism is celebrated...

OUR CONTRIBUTION TO THE CAMPAIGN...

... Beneficiaries, women entrepreneurs and youngsters participated in a silent demonstration in Kutaisi, Poti, Ozurgeti, Khoni and Zugdidi, organized by Fund "Sokhumi" on 25th of November. Slogan of the women dressed in white was – "violence is evil!" The demonstration was broadcasted on local and central media, many of them got interested in the history of the campaign.

... 29 November, two work places opened in Khurcha and Nabakevi (conflict zone bordering villages) in frames of the 16-day campaign; the owners are Gogola Anjaparidze and Ia Kozmava.

Based on their past experiences, the businesswomen decided to run beauty salons.

In the first half of the year, representatives of the FWE studied needs and problems of Khurcha village's residents. The meetings had tangible outcomes.

... 8 December, television show made by the FWE was broadcasted on the TV company "Rioni", dedicated to a topic "small business – way towards economic independence". Guests of the show were staff of the FWE, women entrepreneurs and a lawyer.

In the beginning, a film by the FWE "Ways of Past" was shown to audience, followed by discussions. The talks touched the FWE's involvement into the 16-day campaign and economic factors causing violence.

Tamar Pachulia, a lawyer, reviewed legislation and gave practical advice to the individual entrepreneurs. During the show telephone calls were received in the studio.

... 10 December, a roundtable organized by the Fund of Women Entrepreneurs was dedicated to 16-day international campaign against violence against women. Participants were acquainted with information, regarding the campaign and emphasized importance of economic factors in preventing violence.

Women entrepreneurs and students of vocational courses were invited to the meeting. Numerous interesting ideas were expressed during the event, particularly: establishment of league of women entrepreneurs, vocational courses in Zestaponi, workshops for the women entrepreneurs on changes made in tax legislation.



უფრო ადრე პიზნესი მომართ

კამპანიის ფარგლებში მენარმე ქალთა ფონდმა მოაწყო ტელეგადაცემა ტელეკომპანია „რიონის“ პირდაპირი ეთერით. გადაცემის თემა იყო - „მცირე ბიზნესი-გზა ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ“.

გადაცემაში მონაწილეობდნენ მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლები, მენარმე ქალები.

ფილმის დასაწყისში წამყვანმა ნანა რობაქიძემ ტელემაყურებელს გააცნო ინფორმაცია, რომ მენარმე ქალთა ფონდის გადაცემა მიმდინარეობდა 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში.

გადაცემის დასაწყისში მაყურებელმა ნახა ფონდის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „განვლილი გზა“. ფილმში აისახა მენარმე ქალთა საქმიანობა, სამუშაო ადგილები, რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მუშაობს. ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა.

პროექტის კოორდინატორმა მირანდა გვანცელაძემ მაყურებელს მოუთხრო 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში მენარმე ქალთა ფონდის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. მისი სიტყვებით მსოფლიო საერთაშორისო კამპანიაში მენარმე ქალთა ფონდი უკვე რამდენიმე წელია მონაწილეობს და ამით გამოხატავს საკუთარ პოზიციას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ბოროტებაა და საკუთარი საქმიანობით ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქალი ჩართოს მცირე ბიზნესი, რაც შეიძლება მეტ ქალს მისცეს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რადგან ეკონომიკური დამოუკიდებლობა აძლიერებს ქალებს და ასეთი ქალები ნაკლებად არიან ძალადობის მსხვერპლნი.

პროექტის ასისტენტმა დიანა ყურაშვილმა ვრცლად ისაუბრა იმ სამუშაო ადგილებზე რომელიც წარმატებულია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მისი თქმით, სამენარმეო



საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის აუცილებელია საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, ამიტომაც საგანმანათლებლო პროგრამებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სატრენინგო პროგრამა მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაერკვნენ მცირე ბიზნესის საფუძვლებში. ბიზნეს-გეგმა სწორად შეადგინონ და გააკეთონ სწორი არჩევანი რომელი სფერო იქნება მათთვის მომგებიანი და სიცოცხლისუნარიანი.

მან ისაუბრა აგრეთვე იმაზე, რომ ბიზნეს-გეგმის შედგენისას კომისია აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ შეირჩეს სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი, რეალობაზე გათვლილი პროექტი.

ტელეგადაცემაზე მონაწილმა მენარმე ქალებმა: ლარისა უგრეხელიძემ, ნინო ჩეგინაძე, ნაირა მაღალიაძე, თამარ ბერულავამ ისაუბრეს საკუთარ საქმიანობაზე, სიძნელებსა და მიღწევებზე. ისინი თვლიან, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს, რადგან მათი ბიზნესი წარმატებულია, მათი ოჯახის შემოსავალი გაიზარდა, აქვთ საკუთარი საქმე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

გადაცემაზე ფონდის იურისტმა თამარ ფაჩულიამ სამართლებრივ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, მენარმე, რომელიც იწყებს საკუთარ საქმიანობას აუცილებელია ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას, რაც მის საქმიანობაში მნიშვნელოვანია. ტრენინგებმა ხაზი გაუსვეს რამდენად აუცილებელია ის ინფორმაციები მონაწილეებისათვის, რომლებსაც ისინი ტრენინგებიდან იღებენ.

გადაცემის მსვლელობისას რამდენიმე სატელეფონო ზარი გაისმა, მაყურებელთა აზრით, ის რასაც მენარმე ქალთა ფონდი აკეთებს მნიშვნელოვანია. აუცილებელია, მეტმა ადამიანმა იცოდეს ამ ორგანიზაციის არსებობა. რამდენიმემ სურვილი გამოთქვა ითანამშრომლოს მენარმე ქალთა ფონდთან.

გულნარა ლაპერაია

TELEVISION SHOW BROADCASTED ON LIVE

Fund of Women Entrepreneurs hosted a live television show, on a topic – “small business – way to economic independence” on regional TV broadcast “Rioni” in frames of the campaign.

Guests of the show were representatives of the FWE and women entrepreneurs.

Host of the show Nana Robakidze, firstly informed audience that the program was designed in frames of 16-day campaign, followed by a film “the ways of past” made by the FWE. The film showed activities performed by the FWE, the new work places opened in various towns of west Georgia. The final part was a discussion.

Project coordinator Miranda Gvantseladze told the audience about the actions of the FWE carried out under 16-day campaign. According to her, the FWE had been involved in international activities for several years and in this way expressed its position regarding violence against women. The Fund through its works tries to involve as more women in business ventures as possible and thus provide them with economic independence. It is less likely that this type of women will ever become victims of violence.

Project assistant Diana Kurashvili talked in details about the new work places, which operate quite successfully in various towns of west Georgia. As Diana mentioned, comprehensive

understanding of issues related to business activities was essential factor for its success, thus educational programs were of utmost importance. The training curriculum was developed in a way to acquaint participants with basics of small business, draft business-plan correctly and make right choices in sphere of activity.

She also talked about the criteria, based on which the commission for selection of the business plans pays attention most of all, particularly viability and sustainability. Guest speakers of the show, the women entrepreneurs talked about the way they had to go through, obstacles and achievements. They believe that they had made right choices, as their business was profitable, family income \ increased and additionally they had own venture which was not of least importance.

Lawyer of the FWE stressed legal aspects of the business and admitted that it is essential for the entrepreneur to be aware of necessary legal information regarding the activities, before running a venture. Trainers emphasized the necessity of the information provided by them during the training courses.

Several people called during the show and according to them what the FWE does is very important and it is essential to inform more people about existence of such an organization. After the show several of them expressed a desire to cooperate with the FWE.

GULI LAKERBAIA



ახალი სამუშაო აღმოჩენა კონფლიქტის ზონაში

მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. ამჯერად სამოქმედო არეალი აფხაზეთის კონფლიქტისპირა რაიონს მისწვდა. პროექტის ფარგლებში ზუგდიდის რაიონის სოფლებში ხურჩასა და ნაბაკევეში ქალთა დასაქმებისა და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით აქტიური მუშაობა დაიწყო.

შესრულებულ სამუშაოებს წინ უძღოდა ანკეტირება: სულ 205 ბენეფიციარი გამოიკითხა. ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე უცხო არ არის, რომ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უმთავრეს პრობლემად უმუშევრობა დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ სოფელი ხურჩა მოშორებულია რაიონულ ცენტრს და სოციალური მომსახურების სფეროებს. მრავალრიცხოვან დასახლებაში არ არის მომსახურების ისეთი სფეროები, როგორცაა საპარაკმახერო და სამკერვალო.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ნაბაკევეში. კვლევებმა აჩვენა, რომ მოთხოვნის მიუხედავად, მოსახლეობას არა აქვს და არც არასოდეს ჰქონია მომსახურების სფეროები. მაგალითად, სილამაზის სალონი.

ნაბაკევი კონფლიქტისპირა ზონაა და მოსახლეობა ვერ გრძნობს თავს ბოლომდე დაცულად, მიუხედავად ამისა, იმედიანად არიან. როცა ისინი მენარმე ქალთა ფონდმა ტრენინგზე მოიწვია, ქალებმა დიდი სიხარულით მიიღეს მონაწილეობა, რათა შემდგომში, მიღებული ცოდნა გამოეყენებინათ თვითრეალიზაციისათვის. რადგან ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მათი მხარდაჭერა და ეკონომიკური გაძლიერება.

გამოკლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გადაწყდა, რომ აღნიშნულ სოფლებში განსაკუთრებული მოთხოვნა იყო სოციალური მომსახურების სფეროზე.

მომდევნო ეტაპზე, პროექტიდან გამომდინარე, ჩატარდა ტრენინგი, რის შემდეგაც რამდენიმე მათგანმა ბიზნეს-გეგმა წარმოადგინა. კომისიამ მათ შორის სიცოცხლისუნარიან პროექტებზე შეაჩერა არჩევანი.

29 ნოემბერს კონფლიქტისპირა ზონაში - ხურჩასა და ნაბაკევეში ორი სამუშაო ადგილი შეიქმნა. სილამაზის სალონებს „ფერია“ და „ნინიკო“ უწოდეს.



სილამაზის სალონი „ფერია“

„მოდით და და გამშვენიერდით“- ასეთი სლოგანი აქვს სილამაზის სალონ „ფერიას“, სადაც დიასახლისი გალელი ქალბატონი გოგოლა ანჯაფარიძეა. მას შეუძლია ბევრი რამ მოგიყვებთ საკუთარი ცხოვრებიდან. - წარსული არც ისე ტკბილი მოსაგონარია- ამბობს გოგოლა.

„უიმედოდ ჩამოვედი ნაბაკევიდან სოფელ ხურჩაში. არ ვიცოდი რა მექნა, რა მეკეთებინა, ხელი რა საქმისთვის მომეკიდა. ასეთ გაურკვეველობაში კარგა ხანს ვიყავი. ერთი პერიოდი გალში სტილისტად ვმუშაობდი, ეს ხელობა კარგად მქონდა ათვისებული მაგრამ ხურჩაში სალონის გახსნა ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ხელსაწყოების შესაძენი თანხა არ გამაჩნდა. ვიყავი ასე უიმედოდ. როცა მთხოვნენ, ნაცნობებსა და მეზობლებს უფასოდ ვემსახურებოდა, ჩემი ხელობით ყველა კმაყოფილი იყო.

ერთ დღეს, მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, ქალებს ინვესტირებდნენ ბიზნეს-ტრენინგზე. როგორც ვადმოძვეს, ტრენინგის შემდეგ მონაწილეებს საშუალება ეძლეოდათ დაენერათ ბიზნეს-გეგმა, შეექმნათ პატარა სამუშაო ადგილი და ოჯახში მცირე თანხა შემოეტანათ. ტრენინგს სიამოვნებით დავესწარი. მივიღე ბევრი საჭირო და საინტერესო ინფორმაცია მცირე ბიზნესთან დაკავშირებით. ბევრი ფიქრი არ დამჭირებია, ტრენინგის დამთავრებისთანავე გადაწყვიტე დამენერა ბიზნეს-გეგმა საკონკურსოდ. რადგან იდეაში მქონდა გამეხსენებინა ჩემი ძველი პროფესია და პროექტში გამარჯვების შემთხვევაში პატარა სალონი გამეხსნა სოფელ ხურჩის დასახლებაში.

ოცნება ამისრულდა და ჩემი პროექტი დაფინანსდა. ყველაფრის შიში გამიქრა, უიმედობა სადღაც დაიკარგა და იმედით ავივსე, რადგან ეს ისეთი საქმეა, დარწმუნებული ვიყავი აუცილებლად მომიტანდა მოგებას.

მენარმე ქალთა ფონდის დახმარებით უკვე მაქვს ჩემი საქმე, პატარა, ლამაზი სალონი, სადაც მოვემსახურები არა მარტო დევნილ მოსახლეობას, არამედ ადგილობრივებსაც.

ჩემი ოჯახი ოთხი სულისაგან შედგება. მეუღლეს მხოლოდ სეზონური სამუშაო აქვს. ორი შვილი მყავს, ორივე უმუშევარი. ბუნებრივია დამატებითი შემოსავალი ჩემს ოჯახს ძალიან სჭირდება.

მინდა წელში გავიმართო, ეკონომიურად გავძლიერდე. მანამდე კი ტრენინგზე მიღებული ინფორმაციებით ვსარგებლობ. მცირე ბიზნესში აუცილებელია იმიჯი, მთავარია კლიენტებს კარგად მოვემსახურო, კარგი ოსტატობითა და ლამაზი ვარცხნილობებით მყარად დავიმკვიდრო ადგილი. საკუთარ თავში არსებული შესაძლებლობები ამის საშუალებას მაძლევს“.

სილაშაზის სალონი „ნინიკო“

ია კოზმავა კონფლიქტისპირა სოფელში, კერძოდ ნაბაკევი ცხოვრობს.

- სტილისტობა ყოველთვის მომწონდა. სამი თვის წინ ამ საქმეს პროფესიულად დავუფუღე. ყოველთვის მქონდა ოცნება პატარა სალონი მქონოდა სოფელ ნაბაკევი, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ ოცნების ასრულება არც ისე ადვილი იყო. საოცარ სიამაყეს ვგრძნობ, როცა წარმოვიდგენ ჩემს თანასოფლელებს ლამაზად და ელეგანტურად დავარცხნილებს.

მენარმე ქალთა ფონდის დახმარებით ჩემი იდეა უკვე რეალობაა. გარკვეული გამოცდილება გამაჩნია იმისათვის, რომ წარმატებულად განვაავითარო ჩემი ბიზნესი. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა

კონფლიქტის ზონაში მიხდება და გაცილებით მეტი პრობლემებია, ვიდრე სხვაგან, მაინც იმედინად ვარ. დარწმუნებული ვარ, ჩემი საქმიანობა წარმატებული იქნება“.

ია პროფესიით ექთანია. ნაბაკევის დასახლებაში ია ექიმს ეძახიან, ვისაც გაუჭირდება, რა დროც არ უნდა იყოს, ყველასთან გარბის დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომაც მთელს დასახლებას ძალიან უყვარს. ასე ამბობენ ისეთი ყოჩაღი და ძლიერი ქალია ნებისმიერი საქმე გამოუვაო.

იას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს, ბავშვები ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ. მეუღლე სოფელში ტვირთების გადაზიდვაზე მუშაობს. სეზონური სამუშაოა და ეკონომიკურად ძალიან უჭირთ, რადგან ოჯახში ბევრი ხარჯები და ცოტა შემოსავალი აქვთ. იმედი აქვთ, რომ მათი ოჯახის შემოსავალი ერთიორად გაიზრდება და მშვიდად იქნებიან.

„ტრენინგმა სწორ გზაზე დამაყენა, - ამბობს ია. ბევრი რამ გავიგე, გარდა ამისა მივხვდი, რომ ბიზნესში რისკიც საჭიროა. დიდი ხანია ვფიქრობ ამ საქმის წამოწყებას, მაგრამ ვერ ვებედადი. როცა ტრენინგებს მოვუსმინე და საჭირო ინფორმაციები მივიღე, მივხვდი, რომ ის, რაზედაც დიდი ხანია ვოცნებობ, შესაძლოა რეალობად იქცეს.

ამიტომ ტრენინგის შემდეგ დიდხანს არ მიფიქრია, ბიზნეს-გეგმა სილაშაზის სალონზე დავწერე. გარკვეული დროის შემდეგ მაცნობეს, რომ ჩემმა პროექტმა გაიმარჯვა. დიდი ხნის ოცნება მენარმე ქალთა ფონდის დახმარებით ამიხდა. მექნება საკუთარი შემოსავალი და ჩემი მონდომებით წარმატებაც გარანტირებული იქნება.“

იას სამომავლოდ ბევრი რამე აქვს ჩაფიქრებული. გადწყვეტილი აქვს, რომ კლიენტების მოზიდვის მიზნით ყოველთვიურად, ყოველ მეხუთე კლიენტს უფასოდ მოემსახუროს.

„ჩემი სურვილია ასევე, თვეში ერთხელ ვესტუმრო ნაბაკევის საბავშვო ბაღს და პატარებს უფასოდ მოვემსახურო, გავუკეთო სხვადასხვა სახის ლამაზი ვარცხნილობები. მსგავსი ღონისძიებები ჩემს საქმიანობაში წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება“.

გოგოლა ანჯაფარიძე და ია კოზმავა უკვე შეუდგნენ საქმიანობას. სილაშაზის სალონები „ფერია“ და „ნინიკო“ ყველამ კარგად იცის. კონფლიქტისპირა ზონაში მსგავსი მომსახურება ყველას სჭირდება. მოსახლეობაც კმაყოფილია, სალონის მფლობელები მომავალს იმედით უყურებენ. რწმენა, გამოცდილება, მონდომება არც ერთს არ აკლია, მათი ეს თვისებები ბიზნესში წარმატების მომტანი იქნება.

ლიანა ყურაშვილი



NEW WORK PLACES IN A CONFLICT ZONE

Fund of Women Entrepreneurs had expanded scope of its activities and reached conflict zone bordering region of Abkhazia. Active work had started in order to provide women in villages of Khurcha and Nabakevi of Zugdidi district, with work places, in frames of the project.

Prior to the works, a survey was conducted; in total 205 beneficiaries were interviewed. The top problem named by the respondents was unemployment, not a surprising result in a light of social economic conditions of the country. It should be emphasized that Khurcha village is distanced from the district center and lacks social services. There are no beauty and sewing shops in the village.

Similar situation was observed in Nabakevi village. Survey revealed that despite demand, the population has not and never had social services, like a beauty shop.

However, Nabakevi is located in the conflict zone and population does not feel safe, they look into the future with hope. When the FWE invited women on trainings, they got very interested and expressed willingness to receive the necessary skills essential for self-realization, which is the ultimate goal of the FWE. Based on the results from the survey, the major need in social services was defined. Next stage involved trainings and drafting of business-plans after which the commission selected sustainable and viable ones.

Consequently, two new work places were open in Khurcha and Nabakevi villages on 29th of November, 2010 - beauty salons "Feria" and "Niniko".

BEAUTY SALON "FERIA"

"Come here and become beautiful" – is a slogan of the salon, owned by Ms Gogola Anjaparidze. She can tell a lot from her past life, which was not happy and easy: "I came to Khurcha village from Nabakevi with broken heart, I did not know what to do, the uncertain condition lasted for a long time. I worked as a hair dresser in Gali for a while, but opening a beauty shop in Khurcha was connected to finances, which I lacked, could not afford the equipment and served neighbors and relatives free of charge. They were satisfied with my work.

One day here arrived representatives of the Fund of Women Entrepreneurs and invited women on a business-training; women from conflict zones participated in it as well. They told me that after participation in the trainings they could draft a business-plan and open a work place. I attended the training with great pleasure, received lots of information, regarding the small business. I did not hesitate and decided to write a business-plan on beauty salon in the Khurcha village at the end of the training.

My dream came true and the project was awarded a grant. All the fears vanished, and I was filled with hope, as I was sure that it was a type of business that would bring profit by all means.

I have my small venture, a beauty salon, where I serve both IDP and local population.

My family consists of four persons. My husband works only seasonally. I have two children, both of them unemployed. Naturally my family needed extra income.

I want to be economically strong in future so I am going to use the information received from the trainings. Image is essential for small business, the most important is to serve my clients well and attract them with professional and beautiful hair-dos. My capabilities enable me to achieve the goals."

BEAUTY SALON “NINIKO”

Ia Kozmava lives in conflict zone bordering Nabakevi village.

“I always liked hair-dressing and three month ago learned the profession. My dream had always been to open a small beauty salon in Nabakevi village; however I knew that it would be very difficult to make the wish come true.

Currently, my idea is a reality thanks to the Fund of Women Entrepreneurs. I had past experience that helped me run the venture successfully. Despite working in the conflict zone, I was always sure that my business would be profitable.”

Ia is a nurse by profession, but in Nabakevi village she is called a doctor; she rushes to help everyone and any time when her aid is needed. That is why the whole settlement loves her. As they say she is such a strong woman that can manage any work.

Ia has a husband and two children, who study at school. The husband works on delivery. It is a seasonal work and their economic condition is very poor, as family has a lots of expenses and few revenues.

“The training set me on a right direction, I learned a lot, and additionally I understand that

risk is essential for the business. I have been thinking of starting a business for a long time but did not dare. When I listened to the trainer and received the necessary information understood that what I had been dreaming for such a long time may become a reality.

Thus I did not hesitate and drafted a business-plan on a beauty salon and my project was awarded a grant. And my dream became true thanks to the Fund of Women Entrepreneurs. I am going to have own income and upon my efforts success will be guaranteed. ”

Ia has a lot of plans for future. She is thinking about serving every fifth of the clients free of charge in order to attract more of them. “I would like to serve children of Nabakevi kindergarten free of charge, to make them beautiful hairdos. These type of activities will be supporting factors on a way towards success.”

Gogola Anjaparidze and Ia Kozmava have already started working. Beauty salons “Feria” and “Niniko” are well known in the regions, everybody needs their services. Population and owners of the salons are satisfied. Belief, experience and willingness, none of the businesswomen lack these criteria that will finally lead them to success.

DIANA KURASHVILI



მკვლელობა

- ერთნობიანი მუშაობის შედეგება და სამომავლო გეგმების დასახვა - ამ თემის განსახილველად შეიკრიბნენ მრგვალი მაგიდის სხდომაზე მენარმე ქალთა ფონდის ბენეფიციარები (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ზესტაფონი, სამტრედია, ვანი, კოპიტნარი). პროფესიული მომზადების კურსების პედაგოგები და მსმენელები.

მრგვალი მაგიდა 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შემჯამებელი აკორდი იყო.

მენარმე ქალთა ფონდის თამაზდომარემ მერი გელაშვილმა ერთნობიანი მუშაობა შეაჯამა, მონაწილეებს მთელი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები გააცნო, ხაზი გაუსვა იმ რეზულტატებს, რომელიც ერთნობიანი მუშაობის შედეგად დაგროვდა. მისი სიტყვებით „ფონდი აქტიურად მუშაობს ქალთა მხარდასაჭერად. რაც იმის ნიშანია, რომ სულ უფრო იზრდება მენარმე ქალთა რიცხვი. ის, რომ თქვენ ასე კმაყოფილები ხართ თქვენი საქმიანობით, ის, რომ თქვენს ოჯახებში იზრდება ფინანსური შემოსავალი და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გრძნობთ - ჩვენი მუშაობის შედეგია. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად მივდივართ, რადგან ჩვენი საქმიანობა დასაწყისშივე სწორედ აქეთკენ იყო მიმართული“.

პროექტის კოორდინატორმა მირანდა გვანცელაძემ ქალაქობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე და ამ კამპანიის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა: „16-დღიანი მსოფლიო საინფორმაციო კამპანია მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელშიც სულ უფრო მეტი ქვეყნები ერთვებიან ყოველწლიურად. მენარმე ქალთა ფონდი უკვე რამდენიმე წელია ამ კამპანიაში აქტიურად არის ჩართული. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია ქალაქობის პრობლემასთან. რადგან ქალაქობის მიზეზი ხშირად ხდება ოჯახის მცირე ბიუჯეტი, მცირე შემოსავალი. ეკონომიკური სიძლიერე ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტია ქალაქობის თავიდან ასაცილებლად. თუ ქალი ეკონომიკურად ძლიერია, - ის ნაკლებად ხდება ქალაქობის მსხვერპლი.“

კამპანიის ფარგლებში ხურჩასა და ნაბაკევში (აფხაზეთის საზღვრისპირა ზონა) ორი სამუშაო ადგილი შეიქმნა - სილამაზის სალონები, რომლებსაც ქალბატონები ხელმძღვანელობენ და სიამოვნებით მოემსახურებიან ალბიშნულ სოფლებს. ორგანიზება გაუკეთდა ტელეგადაცემას, რომლის საშუალებითაც მაყურებელი გაეცნო ფონდის საქმიანობას და მათი დაინტერესება გამოიხატა სტუდიაში შემოსული ზარებით.“

მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე მენარმე ქალბატონების სტიმულის მიძევი იყო ფილმის - „განვლილი გზა“ ჩვენება. მასში ნათლად არის გაშუქებული

როგორ განავითარეს მენარმე ქალებმა ფონდის მხარდაჭერით შექმნილი მცირე ბიზნესი. რამ განაპირობა მათი საქმიანობის წარმატება, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ის მოგება, რომელსაც თავიანთი შრომით იღებენ, როგორია მათი სამომავლო გეგმები.

პროფესიული მომზადების კურსების პედაგოგებმა ნანა შაკაიამ, თამილა გვილაშვილმა, გურანდა გვანცელაძემ, ნინო ჩეგვიანმა ისაუბრეს, რაოდენ მნიშვნელოვანია ინგლისურის, კომპიუტერისა, ბუღალტერიის, ქსოვის კურსები. რადგან ქალებს საშუალება აქვთ პროფესიული განათლება უფასოდ მიიღონ.

შეხვედრას ამავე კურსების მსმენელებიც ესწრებოდნენ, მარიკა ტვილიძემ, ეკა რატიანმა ხაზგასმით ისაუბრეს, რომ მიღებულ პროფესიულ ცოდნას ისინი პრაქტიკულად გამოიყენებენ.

მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია საინფორმაციო ჟურნალზე „ქალი და ბიზნესი“, ითქვა, რომ ეს გამოცემა მნიშვნელოვანია. ფონდის იურისტმა, კიდევ ერთხელ შეახსენა მონაწილეებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია იურიდიული საკითხების სათანადო ცოდნა მცირე ბიზნესთან მიმართებაში, შესაბამისად იგი მზად არის ნებისმიერ საკითხზე გაუწიოს კონსულტაცია მენარმე ქალებს.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში მენარმე ქალების მხრიდან დასახელდა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები: ფეხსაცმლის სახელოსნოსთვის საკერავი მანქანა(ხონი), მეორადი თეთრეულის შეძენა და გადამამუშავება (წყალტუბო), საკონდიტრო ბიზნესის გაფართოება და ქუთაისში გადამამუშავება(ზესტაფონი).

ალბიშნულ პრობლემებზე მენარმე ქალთა ფონდი იმსჯელებს და სამომავლო გეგმაში მოხდება მათი გათვალისწინება.

მირანდა გვანცელაძე



ROUND TABLE

Summarizing of works done during a year and setting plans for future, this was the topic of the roundtable that gathered beneficiaries of the FWE (from Kutaisi, Tskaltubo, Khoni, Zestaponi, Samtredia, Vani, and Kopitnari), trainers and students of the vocational courses.

Round table was a chord finale of the 16-day campaign where Meri Gelashvili, chairperson of the FWE, summarized activities performed by the organization, presented works done during a year and emphasized results achieved. "The Fund works actively to support women, and number of women entrepreneurs is increasing. The fact that you are satisfied with your work and family income has raised – are the results of our works. It means that we are moving towards the right direction, as our activities were targeted exactly to the aim in the first place."

Project coordinator Miranda Gvantseladze talked about campaign against violence and activities carried out in frames of the campaign: "16-day world campaign is an important event, more countries become involved in the process every year. Our works are directly related to the problem, since frequently small family budget is reason of violence. Economic strength is one major component for preventing the violence. If a woman is economically strong, it is highly unlikely that she will become a victim of violence."

Two new work places were created in Khurcha and Nabakevi in frames of the campaign – beauty salons,

owned by women, who serve the villages with eagerness. A television show was organized, where audience had a chance to learn about activities carried out by the FWE and express their attitudes by telephone calls into the studio.

A film "ways of the past" was shown on the round table meeting, which was kind of stimulus for the attendants, as it screened how the women entrepreneurs had developed their ventures with support of the FWE, what was the precondition for their success, importance of their works and future plans.

Instructors of the vocational courses talked about significance of the courses in English, computers, accounting, and knitting.

Students of the courses attended the meeting as well, they emphasized that skills received from the classes they would use in practice.

Participants received information on journal "Woman and Business". Lawyer of the FWE, once again stressed how important it was to be aware of legal aspects of small business and expressed willingness to provide consultancy regarding the issues.

In the final stage of the meeting, women entrepreneurs listed the issues important for them: sewing machine for shoe shop (Khoni), purchasing and repairing second hand bed- linen (Tskaltubo), expanding of pastry venture and moving to Kutaisi (Zestaponi).

The above mentioned issues will be reviewed by the FWE and will be considered in the future plans.

MIRANDA GVANTSELADZE



„განვლილი გზა“

**მენარმე ქალთა ფონდმა მო-
რიგი ფილმი გადაიღო. „განვლილი
გზა“- ძირითადად ფონდის ისტორიას
ასახავს, რა გზა გაიარა მან რა სახის
სამუშაოები შესრულდა, რამდენად
არის მიზანი მიღწეული.**

- ეს გზა საკმაოდ რთული და შრომატევადი იყო, - ამბობს ფონდის თავმჯდომარე მერი გელაშვილი და ორგანიზაციის შექმნის ისტორიაზე გვიამბობს:

„ეს იყო პერიოდი, როცა ჩვენი ცხოვრების ერთი ნაწილი დამთავრდა. ფაქტიურად დავკარგეთ ყველაფერი. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა თანაკუთხელების უდიდესი ნაწილი, რადგან ცხოვრებას ვინყვებით ცარიელი ხელებით. სწორედ ამ სიტუაციამ შეუწყო ხელი შეგვექმნა მენარმე ქალთა ფონდი, რომელიც ქალებს დაეხმარებოდა ეშვით სამუშაო ადგილი, რათა გამოსულიყვნენ იმ დეპრესიიდან, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ.“

ვფიქრობ, სწორად მივდივართ. ის, რასაც ვაკეთებთ, რა თქმა უნდა არ არის მასშტაბური, მაგრამ მცირე ბიზნესი ოჯახების დიდი ნაწილისთვის შემოსავლის წყარო გახდა. ორგანიზაციის დაფუძნებიდან დღემდე 57 სამუშაო ადგილი შეიქმნა. ქალებს, რომლებიც გაივლიან მცირე ბიზნესის მეთოდოლოგიის კურსებს, ეძლევათ საშუალება დაწერონ ბიზნეს-გეგმა და მიიღონ მცირე გრანტები სამუშაო ადგილის შესაქმნელად.

პერიოდულად ტარდება მონიტორინგი, რომელმაც გაარკვია, რომ ყველა სამუშაო ადგილი მოქმედია. ბევრი მათგანი ლაპარაკობს გაფართოებაზე. ჩვენ ვასწავლით და ვაძლევთ კონსულტაციას, როგორ მოიძიონ სახსრები, რომელ საკრედიტო ორგანიზაციებს მიმართონ.

ჩვენი მიზანი იყო ქალი ყოფილიყო ამ ბიზნესის ხელმძღვანელი, დასაქმებულიყო ოჯახის დანარჩენი წევრებიც. სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი სწორედ ასეთი პრინციპით მუშაობს. ქალები იწყებენ, - შემდეგ მთელი ოჯახი ერთვება ამ საქმიანობაში და საკმაოდ წარმატებულადაც მუშაობენ.“

ფილმში, ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარე ალლა გამახარია ორგანიზაციის შექმნის ისტორიას იხსენებს:

„ჩვენი საქმიანობის საწყის ეტაპზე, არ იყო პროექტების მრავალფეროვნება. მაგრამ ქალთა დახმარების სურვილი ყველას გვქონდა. გვქონდა მოთხოვნილება ქალებისთვის გვესწავლებინა, როგორ იშოვონ ფული. როგორ შეინახონ ოჯახები. პირველ ეტაპზე გადავწყვიტეთ ქალები მოგვემზადებინა, ჩავეტარებინა ტრენინგი, რადგან მცირე ბიზნესს გარკვეული ცოდნა სჭირდება, რათა განსაზღვროს რომელი სფერო იქნება მომგებიანი, რა ტიპის სამუშაო ადგილი იქნება ფექტური.“

ყოველი ქალი გრძნობს, რომ ეკონომიკური სიძლიერე თავისუფალს და დამოუკიდებელს ხდის მას. ჩვენთვის ცნობილია, რომ მცირე ბიზნესს ქალების 70% მართავს, ამიტომ ეს ერთ-ერთ რეა-

ლური სფეროა ქალთა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად“.

ფილმი იმ მენარმეების საქმიანობას ასახავს რომლებიც მენარმე ქალთა ფონდის დახმარებით სამენარმე საქმიანობას ეწევიან. საუბარია მომსახურების სხვადასხვა სფეროებზე, სხვადასხვა ქალაქებზე და სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრებზე; ეს ადგილებია ქუთაისში, ვანში, ზესტაფონში, ოზურგეთში...

განსაკუთრებით წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქალები ვანში - ნათქვამია ფილმში.

ქეთინო სილაგაძემ თავდაპირველად მიღებული გრანტით თხები შეიძინა, შემდეგ ისინი გაამრავლა, იყიდა ძროხა. აქვს რძე, ყველი, როგორც ოჯახში, ასევე გასაყიდად.

მზევინარ ხურციძემ ოთხი ფუტკრის ოჯახი 12-მდე გაამრავლა. კიდევ ელოდება გაყოფას. საოჯახო ბიზნესში მეუღლეს აქტიურად არის ჩაბმული. ასევე წარმატებულად მუშაობს ცხვრების ბიზნესი, ნინო ჩხენკელს უკვე 17-ცხვარი ჰყავს. ცხვრებს ყიდის და ოჯახისთვის სერიოზული შემოსავალი მოაქვს.

ქუთაისში მენარმე ქალები თავიანთ საქმიანობას წარმატებულს უწოდებენ. ასმათ ჩხიბორიძის სათბური გეგუთში, წარმატებით მუშაობს. მენარმე ქალთა ფონდმა სარწყავი სისტემით უზრუნველყო, რამაც შემოსავალზე დადებითად იმოქმედა.

სეზონურად სხვადასხვა სახის ბოსტნეული მოჰყავს თავის სათბურში მერი ჩაბრავას, დღეს-დღეობით სათბურის გაზრდაზეც ფიქრობს.

ქუთაისში ფართოდ ავითარებს მეფუტკრეობას ზაირა ქურასბედინი, ოთხიდან - თექვსმეტი ფუტკრის ოჯახი ყავს.

ასევე წარმატებულია ზესტაფონში შექმნილი სამუშაო ადგილები. ჭრა-კერვა, სილამაზის სალონი სერიოზული შემოსავლის წყარო გახდა მენარმე ქალებისათვის.

ფილმში საუბარია იმაზე, რომ მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა სოფელ ხურჩაში (აფხაზეთის საზღვრისპირა სოფელი), სადაც მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებსაც ეძლევათ საშუალება გაიარონ ტრენინგები და მიიღონ გრანტები სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

მენარმე ქალთა ფონდის სამოქმედო არეალი მისწვდა სოფელ წეროვანში ჩასახლებულ ახალ დევნილებსაც. მაია ცხოვრებაშვილის სილამაზის სალონი დღემდე წარმატებით მუშაობს.

